GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

08 Ağustos / აგვისტო 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6671.9	10.1%	17.3 %	0.3%

Şovide'ki Heyelan

მეწყერი შოვში

Gürcistan'ın Raça-Leçkhumi ve Kvemo Svaneti bölgesine bağlı tatil beldesi Şovi'de 3 Ağustos'ta meydana gelen heyelanda yaşamını yitirenlerin sayısının 19'a çıktığı bildirildi. Perşembe günü öğlen saatlerinde meydana gelen toprak kaymasından sonra bugüne kadar arama çalışmaları devam ediyor.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის მხარეში მდებარე საკურორტო ზონა შოვში 3 აგვისტოს მომხდარი მეწყერის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 19-მდე გაიზარდა. ხუთშაბათ დღეს, შუადღის საათებში მომხდარი მეწყერის ზონაში ამ დრომდე მიმდინარეობს სამძებრო სამუშაოები.

Gürcistan'ın Ticaret Cirosu 10 Milyarı Aşıyor- TOP İhracat ve İthalat Yapan Şirketler

საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 10 მლრდ-ს აღემატება - TOP ექსპორტიორი და იმპორტიორი კომპანიები

2023'ün Ocak-Haziran aylarında Gürcistan'ın ticaret cirosu 10 268 000 000 Dolara ulaşarak %20.1 arttı. İhracat geçen yılın aynı dönemine kıyasla %19.3 artarak 3 053 000 000 Doları teşkil etmiştir. Ticaret cirosunun temelini oluşturan ithalata gelince, yılın ilk yarısında ithalat %20.4 bir artışla 7 215 000 000 Dolara ulaştı.

Resmi istatistiğe göre, Gürcistan'ın negatif ticaret bilançosu 2023'ün Ocak-Haziran aylarında dış ticaret cirosunun %40.5 olan 4 163 000 000 Doları teşkil etti.

İhracat ve TOP-10 İhracat Yapan Şirket

Yılın ilk yarısında Gürcistan çeşitli ürünlerin ihracatıyla 3 053 000 000 Dolar geliri elde etmiştir. Gürcistan'ın toplam ihracatında en büyük payı olan ülkenin payı %80.6 oldu.

En büyük ihracat üçlüsü bu şekildedir: Ermenistan (440.0 mln dolar), Azerbaycan (413.3 mln Dolar) ve Rusya (343.9 mln Dolar).

En çok ihraç edilen ürünlere gelince, bu dönemde 990.9 mln Doları ile toplam ihracatın %32.5'ini oluşturan hafif araçlar TOP 10 ürün arasında ilk sırada yerini almaktadır. 341.3 mln Doları ile (Toplam ihracatın %11.2) ikinci sırada bakır cevherleri ve bakır konsantreleri yer almakta, doğal üzüm şaraplar ise 126 mln Doları ile üçüncü sırada.

TOP-10 ihracat yapan şirket: IDS Borjomi Georgia, LTD Georgian Branch Of IDS Borjomi Beverages Company; JSC RMG Copper; JSC "Rustavi Azot"; Caucasian Metals Terminal LLC; RMG Gold LLC; Ajara Textile LLC; Caucasus Auto Import LLC; Toyota Caucasus LLC; Geo Road LLC; Georgian Manganese LLC.

İthalat ve TOP-10 İthalat Yapan Şirket

Ocak-Haziran aylarında Gürcistan'ın 7 215 000 000 Dolar değerindeki ithalatında en büyük payı olan ülkenin payı %70.5 teşkil etmiştir.

Ilk üç ülke: Türkiye (1 246.9 mln Dolar), Rusya (927.3 mln Dolar) ve ABD (775.2 mln Dolar).

1 313 000 000 Dolar değeri ile toplam ithalatın %18.2'sini oluşturan en büyük ürün grubu, hafif araçlar oldu.

496.8 mln Dolarıyla (İthalatın %6.9'u) 2. sırada petrol ve petrol ürünleri yer almaktadır. Petrol gazları ve diğer gaz halindeki hidrokarbonlar ise 275.6 mln Dolarıyla (İthalatın %3.8'i) 3. sırada.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LCWAIKIKI · იმბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

TOP-10 ithalat yapan şirket: JSC Gepha; Caucasian Metals Terminal LLC; Aversi-Pharma LLC; Alta LLC; Zoommer Georgia LLC; Caucasus Auto Import LLC; PSP Pharma LLC; Rompetrol Geogia LLC; Sun Petroleum Georgia LLC; Toyota Caucasus LLC.

2023 წლის იანვარ-ივნისში საქართველოს სავაჭრო ბრუნვა 20.1%-ით 10 მილიარდ 268 მილიონ დოლარამდე გაიზარდა. აქედან ექსპორტი 3 მილიარდ 053 მილიონი დოლარია, რაც გასული წლის ამავე პერიოდის ექსპორტს 19.3%-ით აღემატება. რაც შეეხება იმპორტს, რომელსაც სავაჭრო ბრუნვის ძირითადი უკავია, წლის პირველ ნახევარში იმპორტი 20.4%-ით 7 მილიარდ 215 მილიონ დოლარამდე გაიზარდა.
ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2023 წლის იანვარ-ივნისში, 4 მილიარდ 163 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.5%-ია.

ექსპორტი და TOP-10 ექსპორტიორი კომპანია

წლის პირველ ნახევარში საქართველომ სხვადასხვა დასახელების საქონლის ექსპორტით 3 მილიარდ 053 მილიონი დოლარის შემოსავალი მიიღო.
უმსხვილესი საექსპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა კი საქართველოს მთლიან ექსპორტში 80.6% შეადგინა.
უმსხვილესი საექსპორტო სამეული კი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: სომხეთი (440.0 მლნ დოლარი), აზერბაიჯანი (413.3 მლნ დოლარი) და რუსეთი (343.9 მლნ დოლარი).
რაც შეეხება უმსხვილეს საექსპორტო საქონელს ამ პერიოდში სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი 990.9 მლნ დოლარით მსუბუქმა ავტომობილებმა დაიკავა, რაც მთელი ექსპორტის 32.5%-ს შეადგენს. მეორე ადგილს სპილენძის მადნები და კონცენტრატები 341.3 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.2%) იკავებს, ხოლო მესამე ადგილზე 126 მლნ დოლარით ყურძნის ნატურალური ღვინოებია (4.1%).
ექსპორტიორი კომპანიების TOP-10-ეული კი ასეთია: აიდიეს ბორჯომი საქართველო, შპს აიდიეს ბორჯომი ბევერიჯიზ კომპანის საქართველოს ფილიალი; სს RMG Copper; სს რუსთავის აზოტი; შპს Caucasian Metals Terminal; შპს RMG Gold; შპს აჭარა ტექსტილე; შპს კავკასიის ავტოიმპორტი; შპს ტოიოტა კავკასია; შპს ჯეო როუდი; შპს ჯორჯიან მანგანეზი.

იმპორტი და TOP-10 იმპორტიორი კომპანია

იანვარ-ივნისში საქართველოს $7 მილიარდ 215 მილიონიან იმპორტში უმსხვილესი საიმპორტო პარტნიორი ქვეყნის წილმა 70.5% შეადგინა.
პირველ სამეულში შედის: თურქეთი (1 246.9 მლნ დოლარი), რუსეთი (927.3 მლნ დოლარი) და აშშ (775.2 მლნ დოლარი).

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იმბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი მსუბუქი ავტომობილების სახით იყო წარმოდგენილი, რომლის იმპორტი 1 მილიარდ 313 მილიონი დოლარი იყო და მთელი იმპორტის 18.2% იყო.
მეორე ადგილს ნავთობი და ნავთობპროდუქტები 496.8 მლნ დოლარით (იმპორტის 6.9%) იკავებდა, ხოლო მესამე ადგილზეა ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები 275.6 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 3.8%).
TOP-10 იმპორტიორი კომპანიის ჩამონათვალი კი, რომლებსაც ამ პერიოდის განმავლობაში მსოფლიოს ბაზრებიდან სხვადასხვა დასახელების საქონელი შემოჰქონდათ, ასეთია: სს გეფა; შპს Caucasian Metals Terminal; შპს ავერსი-ფარმა; შპს ალტა; შპს ზუმერი ჯორჯია; შპს კავკასიის ავტოიმპორტი; შპს პსპ ფარმა; შპს რომპეტროლ საქართველო; შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია; შპს ტოიოტა კავკასია.

Gürcistan'dan Meyve ve Sebze Suları İhracatı Arttı- TOP-10 İhracat Yapan Şirket

საქართველოდან ხილისა და ბოსტნეულის წვენების ექსპორტი გაიზარდა - TOP-10 ექსპორტიორი კომპანია

Cari yılın ilk yarısında Gürcistan'dan meyve ve sebze suları ihracatı arttı. Ocak-Haziran aylarında 8 684 000 Dolar değerindeki 7 083 ton meyve ve sebze suları ülkeden çeşitli ihracat noktalarına yollandı. İhracatın en büyük kısmı yerli meyve ve sebze suların satışı oluşturmaktadır.
Yıllara göre sınıflandırılmış resmi istatistik ihracat değerinin geçen seneki aynı dönemine kıyasla %41, ihracat hacminin ise %44.4 arttığını göstermektedir. Ayrıca, meyve ve sebze suları ihracatında bu sene rekor bir rakam kaydedildi.
Yılın ilk yarısında sözü geçen mal ihracatının %38.2'si Rusya pazarına aittir. Bu noktaya meyve ve sebze sularının sevkiyat oranı cari yıl ikiye katlandı. Meyve ve sebze sularının ihracatını artmış olduğu 2. ana ihracat pazarı ABD'dir.

Cari Yıl En Çok Meyve ve Sebze Suları İhracat Yapılan TOP-10 Ülke Sıralaması Aşağıdaki Gibidir:

1. Rusya – 3 300 000 Dolar, 2 941 Ton;
2. ABD – 1 700 000 Dolar, 1 318 Ton;
3. Almanya – 987 000 Dolar, 915 Ton;
4. Avustralya – 556 000 Dolar, 513 Ton;

5. Japonya – 440 000 Dolar, 246 Ton;
6. Yunanistan- 250 000 Dolar, 191 Ton;
7. İsrail – 239 000 Dolar, 249 Ton;
8. Tayvan (Çin Halk Cumhuriyeti) – 182 000 Dolar, 92 Ton;
9. Suudi Arabistan – 176 000 Dolar, 96 Ton;
10. Türkiye – 149 000 Dolar, 98 Ton.

Bunun dışında sular daha az miktarda Azerbaycan, Kanada, Moğolistan, Kazakistan, İtalya, Birleşik Arap Emirlikleri, Macaristan, Singapur, Ukrayna, Avusturya ve başka ülkelere de ihraç edildi.

Yılın ilk 6 ay boyunca Gürcistan'dan meyve ve sebze suları ihracat yapan TOP-10 şirketin sıralaması: Georgian Industrial Asset Management Group LLC; Anton &Co LLC, Aromaproduct LLC, GFC Kula LLC, Kampa LLC, Mariteli LLC, Natural 7 LLC, Geo Concentrate LLC, Georgian Nectar LLC.

მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოდან ხილისა და ბოსტნეულის წვენების ექსპორტი გაიზარდა. იანვარ-ივნისში ქვეყნიდან სხვადასხვა საექსპორტო მიმართულებით 8 მილიონ 684 ათასი დოლარის ღირებულების 7 083 ტონა წვენები გავიდა. აღსანიშნია, რომ ექსპორტის უდიდესი ნაწილი ადგილობრივი წარმოების წვენების რეალიზებაზე მოდის.

წლების მიხედვით ოფიციალური სტატისტიკიდან ჩანს, რომ ექსპორტის ღირებულება გასული წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 41%-ით, ხოლო მოცულობა 44.4%-ით აღემატება. ამასთან, ხილისა და ბოსტნეულის წვენების ექსპორტის ისტორიაში წელს რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა.

წლის პირველ ნახევარში ამ დასახელების საქონლის ექსპორტის 38.2% რუსეთის ბაზარზე მოდის. ამ მიმართულებით წვენების გადაზიდვების მაჩვენებელი წელს გაორმაგდა. მეორე მთავარი საექსპორტო ბაზარი კი აშშ-ია, სადაც წვენების ექსპორტი ასევე გაზრდილია.

იმ TOP-10 ქვეყნის რეიტინგი, სადაც მიმდინარე წელს ხილისა და ბოსტნეულის წვენები ყველაზე მეტი რაოდენობით გავიდა ასეთია:

1. რუსეთი - 3.3 მლნ დოლარი, 2 941 ტონა;
2. აშშ - 1.7 მლნ დოლარი, 1 318 ტონა;
3. გერმანია - 987 ათასი დოლარი, 915 ტონა;
4. ავსტრალია - 556 ათასი დოლარი, 513 ტონა;
5. იაპონია - 440 ათასი დოლარი, 246 ტონა;
6. საბერძნეთი - 250 ათასი დოლარი, 191 ტონა;
7. ისრაელი - 239 ათასი დოლარი, 249 ტონა;
8. ტაივანი, ჩინეთის პროვინცია - 182 ათასი დოლარი, 92 ტონა;

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

9. საუდის არაბეთი - 176 ათასი დოლარი, 96 ტონა;
10. თურქეთი - 149 ათასი დოლარი, 98 ტონა.

გარდა ამისა საანგარიშო პერიოდში, მცირე მოცულობებით წვენები აზერბაიჯანში, კანადაში, მონღოლეთში, ყაზახეთში, იტალიაში, არაბთა გაერთიანებულ საამიროებში, უნგრეთში, სინგაპურში, უკრაინაში, ავსტრიასა და სხვა ქვეყნებში გავიდა.

იმ ექსპორტიორი კომპანიების TOP-10-ეული, რომლებიც პირველი ექვსი თვის განმავლობაში საქართველოდან ხილისა და ბოსტნეულის წვენების ყიდდნენ: შპს Georgian Industrial Asset Management Group; შპს ანტონი და კომპანია; შპს არომაპროდუქტი; შპს გსქ კულა; შპს კამპა; შპს მარიტელი; შპს ნატურალი 7; შპს ჯეო კონცენტრატი; შპს ჯორჯიან ნექტარ.

Gürcistan İle Kazakistan Başbakanları Görüştüler

საქართველოსა და ყაზახეთის პრემიერ-მინისტრებმა შეხვედრა გამართეს

Gürcistan Başbakanı Sn. Irakli Garibashvili Kazakistan Cumhuriyeti Başbakanı Sn. Alihan İsmailov ile görüştü.
Toplantıda taraflar Gürcistan ve Kazakistan Cumhuriyetleri arasındaki dostane ilişkileri ve ortaklığı görüştüler.
Görüşülecek konular arasında turizm, enerji, ulaşım ve ticaret alanlarındaki işbirliğinin ana yönleriydi.
Orta koridorun tam kapsamlı işleyişinin önemine dikkat verildi.
Taraflar ayrıca son dönemlerde üst düzey ziyaretlerin olumlu dinamiklerini ele aldılar.
Toplantıda Sn. Irakli Garibashvili orta koridorun geliştirilmesine dikkat çekti.
Görüşme sırasında Kazakistan Cumhuriyeti Başbakanı Kazakistan ile Gürcistan'ın yakın ve uzun vadeli dostluk bağları ve çok taraflı işbirliğine sahip olduğunu ve 6 ayın verilerine göre Gürcistan ile Kazakistan arasındaki ikili ticaretin %30 arttığını, cari yılın ilk 6 ayında orta koridor üzerinden yük taşıma hacminin ise %77 artarak 1.3 milyon tona ulaştığını söyledi.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს ალიხან სმაილოვს შეხვდა.
სამუშაო შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოსა და ყაზახეთის რესპუბლიკას შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები მიმოიხილეს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

განსახილველ საკითხებს შორის იყო ტურიზმის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის სფეროებში თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები.
ყურადღება გამახვილდა შუა დერეფნის სრულმასშტაბიანი ფუნქციონირების მნიშვნელობაზე.
მხარეებმა ასევე განიხილეს ბოლო პერიოდის განმავლობაში მაღალი დონის ვიზიტების პოზიტიური დინამიკა.
შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა შუა დერეფნის განვითარებაზე გაამახვილა ყურადღება.
სამუშაო შეხვედრაზე ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ ყაზახეთსა და საქართველოს აკავშირებს მჭიდრო და ხანგრძლივი მეგობრული კავშირები და მრავალმხრივი თანამშრომლობა.
შეხვედრაზე ყაზახეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ 6 თვის შედეგების მიხედვით, საქართველოსა და ყაზახეთს შორის ორმხრივი ვაჭრობა 30%-ით გაიზარდა, ხოლო შუა დერეფნის გავლით ტვირთების გადაზიდვის მოცულობა მიმდინარე წლის ექვს თვეში გაიზარდა 77%-ით და 1,3 მლნ ტონას მიაღწია.

Ekonomi Bakan Yardımcısı SOCAR'ın Başkanı İle Görüştü

ეკონომიკის მინისტრის მოადგილე SOCAR-ის პრეზიდენტს შეხვდა

Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakan Yardımcısı Sn. Romeo Mikautadze Azerbaycan çalışma ziyareti kapsamında Azerbaycan Devlet Petrol Şirketi SOCAR'ın Başkanı Sn. Rövşan Najaf ile görüştü.
Görüşmede iki ülke arasında enerji dahil ekonominin çeşitli sektörlerinde başarılı ve sürekli olarak gelişen işbirliğinin altını çizildi.
2022-23 yıllarında düzenlenen üst düzey ziyaretlerin iki ülkenin stratejik ortaklığına yeni bir ivme kazandırdığını belirtildi.
Toplantıda ortak enerji ve ulaşım projelerinin her iki ülkenin sürdürülebilir ekonomik kalkınmasına katkı sağlamanın yanı sıra bölge ve Avrupa'nın enerji güvenliğini de önemli ölçüde güçlendirdiğini kaydedildi.
Bununla birlikte, 2022'de Bükreş'te Azerbaycan, Gürcistan, Romanya ve Macaristan arasında yeşil enerji sektöründe stratejik ortaklık anlaşmasının imzalanmasının ileride işbirliğinin daha da genişletilmesine el vereceğini vurgulandı.
Taraflar ayrıca SOCAR'ın Gürcistan'daki başarılı faaliyetlerinden dolayı memnuniyetini dile getirip petrol, doğalgaz ve yenilenebilir enerji alanında işbirliğinin mevcut ve gelecek fırsatlarını ele almışlardır.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC Waikiki · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის პირველი მოადგილე რომეო მიქაუტაძე, აზერბაიჯანში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, აზერბაიჯანის სახელწიფო ნავთობის კომპანიის (SOCAR) პრეზიდენტს როვშან ნაჯაფს შეხვდა.
შეხვედრაზე ხაზი გაესვა ორი ქვეყნის წარმატებულ და მუდმივად განვითარებად თანამშრომლობას ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებში, მათ შორის, ენერგეტიკაში.
აღინიშნა, რომ 2022 – 23 წლებში განხორციელებულმა უმაღლესი დონის ვიზიტებმა ორი ერის სტრატეგიულ პარტნიორობას ახალი ბიძგი მისცა.
შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ერთობლივი ენერგეტიკული და სატრანსპორტო პროექტები არა მხოლოდ ხელს უწყობს ორივე ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებას, არამედ მნიშვნელოვნად აძლიერებს რეგიონისა და ევროპის ენერგეტიკულ უსაფრთხოებას.
ამასთან, ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ 2022 წელს ბუქარესტში აზერბაიჯანს, საქართველოს, რუმინეთსა და უნგრეთს შორის მწვანე ენერგეტიკის სფეროში სტრატეგიული პარტნიორობის შეთანხმების ხელმოწერა გზას უხსნის თანამშრომლობის შემდგომ გაფართოებას.
მხარეები ასევე მიესალმნენ SOCAR-ის წარმატებულ ფუნქციონირებას საქართველოში, განიხილეს ნავთობის, გაზისა და განახლებადი ენერგიის სფეროში თანამშრომლობის არსებული და სამომავლო შესაძლებლობები.

Küresel Altın Talebi %2 Düştü

მსოფლიოში ოქროზე მოთხოვნა 2%-ით შემცირდა

Gürcistan Ulusal Bankası Para Politikası Faiz Oranını %10.25'e İndirdi

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 10.25%-მდე შეამცირა

საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Ocak-Haziran 2023 Verilerine Göre, Gürcistan'daki Ekonomik Büyüme Oranı %7.6'yı Teşkil Etmiştir

2023 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით საქართველოში ეკონომიკურმა ზრდამ 7.6% შეადგინა

Temmuz Ayında Gürcistan Borsasının Günlük Cirosu 523 GEL Oldu

523 ლარი - საქართველოს საფონდო ბირჟის დღიური ბრუნვა ივლისში

Gürcistan'dan Rusya ve Belarusya'ya Otomobil İhracatı Yasaklandı

საქართველოდან რუსეთსა და ბელარუსში მანქანების ექსპორტი შეიზღუდა

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Rusya'dan Doğalgaz İthalatı 422 Mln M³'e Kadar Arttı

რუსეთიდან გაზის იმპორტი 422 მლნ მ³-მდე გაიზარდა

Gürcistan'ın Döviz Rezervleri 5.4 Milyar Dolara Yükseldi

საქართველოს სავალუტო რეზერვები $5.4 მილიარდამდე გაიზარდა

Gürcistan Alım Gücüyle Dünya'da 100. Sıradadır

საქართველო მსყიდველუნარიანობით მსოფლიოში მე-100 ადგილზეა

Tiflis'te Yeni Dairelerin Satışları Artıp Eski Dairelerin Satışları Azaldı

თბილისში ახალი ბინების გაყიდვები გაიზარდა, ძველის კი შემცირდა

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · იშბანკი İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6106 TRY/GEL – 0.0967 EUR/GEL – 2.8644 GBP/GEL – 3.3215

USD/GEL

01 -08 Ağustos 2023



USD/TR

01-08 Ağustos 2023

TRY/GEL

01 -08 Ağustos 2023



BTC – 29. 273.87

01 -08 Ağustos 2023

ARKAS GEORGIA LLC
EFES GEORGIA
LC WAIKIKI
იშბანკი İŞBANK
MAQRO CONSTRUCTION
nurol
ŞİŞECAM
TAV Airports
UMETEK ENGINEERING